<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.11.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მოხელე ზემდგომი (მესამე, მეორე ან პირველი) რანგის მოხელის თანამდებობაზე ინიშნება შიდა კონკურსის ან დახურული კონკურსის საფუძველზე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. დახურული კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით და გულისხმობს შესაფერისი კანდიდატის შერჩევას მოქმედი მოხელეებიდან, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხული მოხელეებიდან და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებიდან; ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დახურულ კონკურსში, თუ იგი არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში.“.

2. 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით.“.

3. 53-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია შეცვალოს მოხელის უშუალო ხელმძღვანელის მიერ მომზადებული შეფასება ამ შეფასებიდან 3 თვის ვადაში. თუ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი არ შეცვლის მოხელის შეფასებას, იგი რჩება ძალაში. თუ ამ 3 თვის ვადაში მოხელის გადაყვანა ხდება, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია მოხელის გადაყვანამდე მიიღოს გადაწყვეტილება მოხელის შეფასების თაობაზე.“.

4. 103-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად აგრეთვე ითვლება საჯარო დაწესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად არ ჩაითვლება საჯარო დაწესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა. რეორგანიზაციის საფუძველი აგრეთვე შესაძლებელია გახდეს სტრუქტურულ ერთეულში თითოეული დასაქმებულისათვის ახალი ფუნქციის დამატება ან არსებული ფუნქციების ცვლილება.“.

5. 104-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციისა და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისას ხელი შეუწყოს შტატების შემცირებისას შესაბამისი მოხელეების მობილობას საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მოხელის მობილობის წესის შესაბამისად.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, ხოლო რეორგანიზაციის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.“;

გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. რეორგანიზაციის დროს თუ სტრუქტურულ ერთეულში თითოეულ დასაქმებულს ახალი ფუნქცია ემატება ან არსებული ფუნქციები ეცვლება, ან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან სხვა ერთეულის შერწყმა ხდება, ან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში მცირდება შტატები, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ თითოეულ მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და კონკურსის გამოცხადების თაობაზე. ამ შემთხვევაში, ყველა მოხელე (მათ შორის, ზემდგომი (მესამე, მეორე ან პირველი) რანგის მოხელე), გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თანამდებობაზე ინიშნება ღია, დახურული ან შიდა კონკურსის საფუძველზე, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას. ამ საჩივრის ან კონკურსის შედეგების თაობაზე საჩივრის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილება არ იწვევს შესაბამისი კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დანიშნული მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლებას და გათავისუფლებულ მოხელეს მიეცემა განაცდური და კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ასევე იგი სურვილის შემთხვევაში მოხელეთა რეზერვში ირიცხება.“.

6. 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით ან ამ კანონის 104-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში;“.

7. 110-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია.“.

მუხლი 2. შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა 2025 წლის 1 თებერვლამდე უზურნველყონ ყველა შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში სათანადო ცვლილების განხორციელება და ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**